საქართ. მემარცხენე სოც-ფედერალისტთა ხარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—3 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 199, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50ს მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

№ 364

პარასკევი, დეკემბრის 8

1922 წ.

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 9 დეკემბერს

## ცხვრის წყარო

დადგმა კ. მარჯანიშვილის

დასაწყისი სრულ 8 საათზე

№ 165. 3—2

## გადაჭარბებული ცენტრალიზმი

დეცენტრალისტური ტიპის სახელმწიფო ფედერაციის ფორმაა სახელმწიფოსი. დეცენტრალიზმის თეორია და პრაქტიკაც რთულ სურათს წარმოადგენს და საქმე გვაქვს სხვა და სხვა ტიპის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის კონსტრუქციასთან.

ჩვენ აქ მიზნად არ ვისახავთ სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის შესწავლას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ წამოაყენა ეს საკითხი პრაქტიკული პოლიტიკისათვის და ფედერაცია მიიღო გრიგნული საკითხის გადასაწყვეტად. რომლის საფუძველია დეცენტრალისტური პრინციპი. ამ ხრივ ოქტომბრის რევოლუციამ დიდი ნაბიჯი გადადგა ფედერალისტური მიმართულების განვითარებისათვის.

დეცენტრალისტური სახელმწიფოს იდეა ფართოდაა ინდივიდუალური ძალთა განვითარების, ხალხოსნური მართველობის გამტკიცების, თანაბარი პირობებით მმართველობის შედეგის.

რევოლუციამ კი უნდა ანთავისუფლებდეს არა მარტო კლასს განყენებულად, არამედ ადამიანსაც კონკრეტულად. ეს კი ვერ ეგუება ცენტრალისტურ მმართველობას. ამ მხრით ოქტომბრის რევოლუციამ დიდი რევიზია მოახდინა თვზროვლის რევოლუციის და შესძლო სწორი პოლიტიკური პლატფორმის წამოყენება.

ლენინი, სტალინი და სხვა თეორეტიკოსნი ეროვნულ საკითხის ბოლშევიკურ აზროვნებაში, ისე, როგორც თვით მესამე ინტერნაციონალი იღებს დეცენტრალისტურ სახელმწიფოს ფორმას, მაგრამ არა პრინციპიალურად, არამედ ტაქტიკურად. როგორც გზას ცენტრალიზმისაკენ.

ლენინი განმარტავს, რომ ფედერაციით შეიძლება მივიდეთ ცენტრალისტურ სისტემამდეო. ცხადია აქ სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციის საკითხიც ბოლშევიკურ აზროვნებაში ტაქტიკურ ნიადაგზე ისმის და ჯერ კიდევ ცოცხალია მარქსისა და ენგელსის კოსმოპოლიტიკური კონცეპციების მემკვიდრეობა.

ცენტრალისტური პრინციპის მიხედვით ორგანიზაციათა შენება და ცენტრალისტური სისტემის გატარება საფუძვლად უდევს კომუნისტური პარტიების ორგანიზაციას სხვა და სხვა ქვეყნებში.

სახელმწიფოებრივ მშენებლობაშიაც თავს იჩენს ცენტრალისტური ტენდენცია და დღეს საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ორგანოები, რესპუბლიკათა წარმომადგენლობის და თანასწორი უფლებიანობის მიხედვით კი არ შენდება, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეთა საერთო ხმის მიცემის საშუალებით. თვით ბურჟუაზიული ქვეყნებიც აცავენ ფედერაციაში შემადგენელ ნაწილების სრულ თანასწორობას, ხოლო დღეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი პროპორციულ წარმომადგენლობის ნიადაგზე სურთ მოაწყონ, სადაც გაბატონებული იქნება დიდ ტანიანი ერები.

თუ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არ შეიძლებოდა არსებობდეს ინტერესთა წინააღმდეგობა და დიდი ერი არ შეეცდება თავისი ძალის გამოყენებას პატარა ერთა წინააღმდეგ, მით უფრო მისაღებად უნდა ჩაითვალოს ერთა თანასწორი წარმომადგენლობა საკავშირო ორგანოებში რადგან აქ დაცული იქნება სოციალისტური დებულებაც, ეგალიტარიზმის პრინციპი და ერთა ურთიერთობის საკითხიც ნორმალურად გადაწყდება, თუ რომ საკავშირო ორგანოს დებულება არ იქნება კონფედერაციული ხასიათის.

მართალია ფედერაციული წარმომადგენლობის თეორიით ჩვენ ვიღებთ არა ფედერაციულ სახელმწიფოს, არამედ მის სუროგატს, არა დეცენტრალისტური მიძღვრების განხორციელებას, არამედ ცენტრალიზმს დეცენტრალიზმის ფორმებში.

სტალინი თავის ხატკრიათა კრებულის შესავალში გარკვევით აღნიშნავს, რომ იგი მომხრეა ინდივიდუალიზმის და ფედერაციის ზამოშლისა ინგლისისაგან, მაგრამ წინააღმდეგია საქართველოსა და სომხეთის ჩამოშორებისა რუსეთისაგან, რადგან მისი აზრით პირველი უფრის იმპერიალიზმის დამარცხებას, ხოლო მეორე რევოლუციის ძალების შესუსტებას.

ლენინი თავის თხზულებათა 19 ტომში აღნიშნავს, რომ გამოყოფის, განცალკევების უფლების გარეშე ერთა თავისუფლება „მოტყუება ფრაზაა“, მაგრამ ამაც ცხადია, რომ გამოყოფის უფლების დატოვებით და მისი შეხსნელობის მოსპობით მდგომარეობა სრულიად არ იცვლება.

ფუნთავრესი ხაზი ბოლშევიკურ მშენებლობაში ისევ ცენტრალისტური რჩება. ეს სჩანს, როგორც თეორიაში, მით უფრო სახელმწიფოებრივ ეროვნულთა კომპეტენციის გამიჯვნაში.

რევოლუციონური მოძრაობის პროცესში, როდესაც ძალთა დაპირისპირება ძალების კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას მოითხოვს, შესაძლებელია დაშვებული იქნეს ცენტრალისტური ხელმძღვანელობა, რასაც მოითხოვს ბრძოლის მეთოდები, მაგრამ როდესაც მშვიდობიან აღმშენებლობის ეპოქაში ვდგავართ ფეხს ცენტრალიზმის ფორმულები თავისებურ მყისვე თავს იჩენს და ადგილი აქვს ადგილობრივ პირობებთან პოლიტიკის შეუფერებლობას. თუ ეს ითქმის საერთოდ სახელმწიფოს შესახებ ეს თავისი ტიპიური კომპაქტურის მასის შემადგენლობის დროს, მით უფრო მწვავედ სდგას საკითხი დღეს, როდესაც ცარიზმისაგან მიყენებული პრიალობანი ჯერაც არ მოშუშებულა პატარა ერთა სხეულზე.

ქართველი ხალხი იბრძოდა რუსეთის რევოლუციისათვის არა მარტო ეკონომიური და სოციალური კითხვების გადასაწყვეტად, არამედ საქართველოს თავისუფლების აღსადგენადაც. საქართველო სამარადისოდ უნდა განთავისუფლებულიყო არამკითხე ბატონობისაგან და თვით უნდა აეღო ხელში საქმე თავისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მართველობისა.

ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მტკიცეთ დაისმება ეროვნულ უფლების დაცვის და სახელმწიფოებრივი კომპეტენციის გაფართოების საკითხი.

ბოლშევიკები უცხო ძალის დახმარებით შემოვიდნენ საქართველოში და მყისვე საქართველოს სუვერენობა და დამოუკიდებლობა აღიარეს. ეს ფაქტი რეალ პოლიტიკის საფუძვლად უნდა გამხდარიყო, მაგრამ ცენტრალისტურმა ტენდენციამ თანდათან ფეხი მოიკიდა.

ჩვენ ფედერალისტებს არ შეიძლება ეს დიდი პოლიტიკური მოვლენები ამხედველობიდან გამოგვეპაროს და გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ ცენტრალისტური ტენდენცია საზრდოს აძლევს რეაქციონურ ძალებს და მას სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

გადაჭარბებული ცენტრალიზმი საფუძვლით უნდა განიდევნოს საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირების სფეროდან.

ამას მოითხოვს რევოლუციისა და სოციალიზმის სამსახური.

ხერ. ამაღლობელი.

## პ რ ე ს ა

გაზ. „ბახტრიონი“ № 21 პაულო იაშვილი სწერს ჭიათურის შესახებ.

წყალწაღებული ჭიათურა. ქართული პრესსა, და საზოგადოთ ყველა სდუმს იმ კატასტროფის შესახებ, რომელმაც ჭიათურა განადგურებამდის მიიყვანა. შავი ქვა, უმთავრესი საფუძველი იყო ყოველთვის საქართველოს ეკონომიური განვითარებისათვის.

თუ ევროპას რამე აკავშირებდა საქართველოსთან რეალურად, ამის მიზეზი ჯერ-ჯერობით ჭიათურა იყო და არის.

და. დღეს თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს იმდენათ უმნიშვნელოა წყალდიდობისაგან მოყენებული ზარალი, რომ ჩვენ ვსდუმვართ, მაგრამ არავინ კითხულობს: რისი იმედი გვაქვს. შეიძლება „ბახტრიონის“ ტრადიცია არ იყოს მეთაურები სწეროს, ეკონომიური სტატისტიკის მიხედვით, მაგრამ ჩვენთვის ყოველთვის ახლოს არის თუნდა უბრალო ტკივილიც ჩვენი ქვეყნის, და ჩვენ არ შეგვიძლია პროტესტი არ განვაცხადოთ, რომ ჭიათურის კატასტროფა, ჩვენს პრესაში მხოლოდ ქრონიკაში მოთავსებული ცნობებით ამოიწურა.

ამ ზაფხულში ჭიათურა ძნელი საცნობი იყო.

ძველებურად, ფუტკარივით მოედვნენ შავი ქვის პლატფორმებს, შავ მტვერში გამურული მუშები, ჭიათურა გაცოცხლდა 8 წლის მიძინებულთ, ყოველდღე რამდენიმე მარშრუტი მატარებლებისა მიდიოდა ქვით დატვირთული, დაიწყო სიცოცხლე, რომელიც მალე უნდა გადასულიყო დიდ გრანდიოზულ მაშტაბით მუშაობაში. და უეცრად წყალდიდობამ (მეორედ) ყველაფერი გაანადგურა, შავი ქვა წალეკა, ხიდები და გზები დაანგრია, დამბები დახსნა, სარეცხავი ქარხნები დიდათ დააზიანა. საჩხერეში. შორაპნის ლიანდაგს რამდენიმე თვე სჭირდება ზერელედ შეკეთებისათვის, რაიმე ფუნდამენტალურ მუშაობაზე, ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლება, ეს გზა ისედაც დაზიანებული იყო და ახლა სულ უიმედო შეიქნა საგრძნობლად დაზიანდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შესანიშნავი წყალსაქანი, წაღებულია ჭიქოურას და საფარის საურმე ხიდები. გარეცხილი და პლატფორმებზე დამზადებული ქვა უმრავი წაიღო წყალმა. მარტო ერთ ფირმას მოსტაცა სტიქიამ 4.500,000 ფუთი. სულ წაღებულია—17,000.000 ფუთი გაწმენდილი ქვა და პროქსიტი.

მარტო ეს უდრის მილიონებს ოქროს ანგარიშზე. რამდენიმე თვე შეუძლებელი იქნება თუნდა ელემენტარული მუშაობის დაწყება.

„ჩემო“ იძულებული ხდება მოახდინოს 400 კაცის ლიკვიდაცია სამსახურიდან, მარტო ამისათვის 16 მილიარდი არის საჭირო. ამ ზარალს საქართველო იგრძნობს, რადგან სახელმწიფოს მოაკლდება უდიდესი წყარო შემოსავლისა. ქართული ხაზინა სავალიუტო ბიუჯეტს უმთავრესათ შავი ქვის ოპერაციებიდან ავსებდა.

ძნელია საშუალების მონახვა ზარალის ასადგენად. ყოველ შემთხვევაში შავი ქვის ორგანიზაციებს („ჩემო“ „საქართველო საზოგადოება“ შავი ქვის მრეწველთა საბჭო) დაუყონებლივ უნდა მიეცეს გძელვადიანი სესხი ხაზინის ოქროს ფონდიდან, საჭიროა, ჩვენის აზრით, მიეცეს აგრეთვე ფართო საშუალება და დახმარება კერძო ინიციატივას, და დროებითი შემსუბუქება სამუშაო პირობების, რომ საქართველომ რაც შეიძლება მალე შესძლოს ჭიათურის აღდგენა. შეჩერება ერთი წუთითაც და გულ გრილობა გაართულებს საქმეს და შემდეგში საჭირო იქნება გაათებულ მუშაობა საქმის შველისათვის მაგრამ პირველად ყოვლისა თვით შავი ქვის ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ გრანდიოზული ნება და ენერგია, ამისათვის მათ აქვთ საკმაო ისტორია და გამოცდილება.

## კომინტერნის კონგრესი

მოსკოვი. დეკ. 7. კომინტერნის კონგრესის სხდომაზე 5 დეკემბერს ფელიკს კონი მოხსენებაში სამხრეთ სლავის საკითხის შესახებ ამბობს: „1919—1920 წ. სამხრეთ-სლავის კომპარტია უეცრად გაძლიერდა და გაგზავნა პარლამენტში 59 დეპუტატი და დაიპყრო ბევრი თვით მართველობები მაგრამ კომუნისტური იარლიკის მიღების შემდეგ პარტიას კიდევ შერჩა ელემენტების პარტიის უარყოფითი მხარეები. ის რჩებოდა (გამოტოვებულია)... არ ცდილობდა შეეკავშირებინა მუშათ მასები რევოლუციონურ ბრძოლისათვის. პარტიამ დაუშვა ბევრი შეცდომები, პრაქტიულმა ბრძოლამ ძლიერ შეაფერხა რევოლიუციონური მუშაობა. შედეგად მივიღეთ პარტიის განადგურება კლასიურ მოწინააღმდეგების მიერ. პარტიას და მუშათა კლასს წილად ხვდა რეპრესიებში.

კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მოუწოდებენ სამხრეთ სლავის კომპარტიას შესწყვიტონ ფრაქციული ბრძოლა და შეუდგეს შეთანხმებულ მუშაობას.

ბუხარინი მოხსენებაში ნორვეგიის კომპარტიის შესახებ ამბობს: პარტიაში არსებობს ორი ძირითადი მიმართულება: პირველი შეადგენს პარტიის უმრავლესობას: მას ემჩნევა სინდიკალისტური და რეფორმისტული ტენდენციები. ეს ფრაქცია უფრო მეტ ყურადღებას აქცევს პროფესიონალურ მოძრაობის და თავის მოღვაწეობაში პოლიტიკას ყოფს ეკონომიკისგან. ფრაქცია სრულებით არ იყენებს ბურჟუაზიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს.

ის გადაჭრით ეწინააღმდეგება კომინტერნის ჩარევას პარტიის საქმეში. მეორე მიმართულებას, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს, უჭირავს უფრო მარქსისტული პოზიცია და აუცილებლად მიაჩნია პოლიტიკური ბრძოლა.

კონგრესი ერთხმად დაუჭერს რეზოლუციას, რომლითაც წინადადება ეძლევა ნორვეგიის პარტიას სისწორით გაატარონ კომინტერნის დადგენილებანი.

## ლოზანას კონფერენცია

**საკითხი სრუტეების შესახებ**

მოსკოვი 7 დეკ. 4 დეკემბერს ლოზანის კონფერენცია შეუდგა სრუტეების საკითხის განხილვას კომისიაში კერზონის თავმჯდომარეობით. ჩიჩერინმა გამოაქვეყნა დეკლარაცია და რუსეთის თვალსაზრისი სრუტეების საკითხის შესახებ.

რეიტერის სააგენტოს ცნობით. ჩიჩერინმა შემდეგ-ნაირად ჩამოაყალიბა რუსეთის თვალსაზრისი: სავაჭრო გემების თავისუფალი მიმოსვლა სრუტეებში, სამხედრო გემების გავლის აკრძალვა, ოსმალეთისათვის სრუტეების გამაგრების უფლების მინიჭება.

ოსმალოებმა განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ თვალსაზრისს გამოსთქვამენ ყველა დანარჩენ სახელმწიფოების შემდეგ.

— გერმანიის პრესას რადიო იტყობინება. რომ სრუტეების საკითხში რუსეთ-ოსმალეთის ბლოკის მდგომარეობა უფრო მტკიცეა, ვინემ მოკავშირეების. რუსებს პრაქტიკულ მოთხოვნილებებში სრუტეების შესახებ აქვთ შესაძლებლობა უფრო მეტი მოითხოვონ, ვინემ ოსმალოებმა.

**რუსეთის დელეგაცია და კონფერენციის მუშაობა**

მოსკოვი 7 დეკ. ფიქრობენ, რომ ჩიჩერინი მტკიცე პროტესტს განაცხადებს კონფერენციის ყველა მუშაობაში მონაწილეობისათვის რუსეთის დელეგაციის დაუშვებლობის წინააღმდეგ. რუსეთი არ აღიარებს დამოკიდებულებას იმ გადაწყვეტილებებთან, რომელიც მიღებული იქნება მისი მონაწილეობის გარეშე.

**საკითხი კაპიტულიაციის შესახებ**

მოსკოვი 7 დეკ. კაპიტულიაციის საკითხის კომისიის სხდომაზე ისმეტ-ფაშამ მოითხოვა კაპიტულიაციის სავსებით გაუქმება და განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია მისი შეცვლის რაიმე გარდამავალი დონისძიებებით.

**ლოზანას კონფერენციის ბედი.**

მოსკოვი, 7 დეკ. პრესის ცნობით, მდგომარეობა კონფერენციაზე ძალიან დაძაბულია. გადმოგვცემენ, რომ მოლაპარაკებამ კერზონსა და ისმეთ ფაშას შორის გამწვავებული ხასიათი მიიღო. აგრეთვე იუწყებიან, რომ კერზონი მოითხოვს კონფერენციის მუშაობის შეწყვეტას და საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის სადაო ტერიტორიალურ საკითხების განხილვის გადადებასაც შობამდე. ფრანგები, წინააღმდეგ, მოითხოვენ ყველა სადაო საკითხების დაუყონებლივ გადაწყვეტას.

**ოსმალეთ-საბერძნეთის ომის მიზეზები.**

მოსკოვი, 7 დეკ. ინგლისის პრესა აქვეყნებს ცნობებს, რომლითაც მტკიცდება, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის ომს ხელმძღვანელობდა ინგლისი.

**ანგორა და რუსეთი.**

მოსკოვი, 7 დეკ. ჩიჩერინმა მიიღო ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების კომისართა საბჭოს თავმჯდომარისაგან, რომელშიაც უკანასკნელი მადლობას უცხადებს ჩიჩერინს იმ შრისალმებისათვის, რომელიც გამოწვეული იყო ეროვნული კრების გადაწყვეტილებით ოსმალეთში სულთანის ერთპიროვნული ძალა-უფლების გაუქმების შესახებ. „ოსმალეთის მთავრობა, ნათქვამია დეპეშაში, დრმად არის დარწმუნებული, რომ ოსმალეთის და რუსეთის ხალხის ძმური კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება“.

**კონფერენციისადმი ინტერესი სუსტდება.**

ჰანოვერი. დეკ. 7. პარიზში ლოზანის კონფერენციისადმი ინტერესი თანდათანობით სუსტდება და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლონდონის მომავალი თათბირი. ფიქრობენ, რომ პუანკარეს კაბინეტის მდგომარეობა დამოკიდებულია ამ თათბირის შედეგებზე.

**ამერიკის პოზიცია.**

ჰანოვერი. დეკ. 7. ლოზანიდან იუწყებიან, რომ შეერთებულ შტატებმა სავსებით გაიზიარეს ინგლისის თვალსაზრისის სრუტეების საკითხში და მოითხოვენ მისი თავისუფლებას როგორც სავაჭრო ისე სამხედრო გემებისათვის.

**მოკავშირეთა გეგმები**

ბორდო 7 დეკემბერი. სადამოს გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოკავშირეთა პროექტის ტექსტი, რომელიც ეხება სრუტეების საკითხს. პროექტი გულისხმობს სტამბოლის და მისი მიდამოების გარნიზონის შემცირებას, რაც უნდა მოხდეს მომწვევ სახელმწიფოთა შეთანხმებით, ყველა გემებისთვის სრუტეების სრულ თავისუფლებას როგორც სამხედრო მდგომარეობის ისე ომის დროს, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველი სახელმწიფოს ფლოტი შავ ზღვაზე არ აღემატებოდეს შავი

ზღვის სანაპირო სახელმწიფოების ფლოტს. ამის გარდა, პროექტი გულისხმობს, ომის დროს ნეიტრალური სახელმწიფოების გემების სრუტეებში გემების მიმოსვლას. „ტანმა“ გამოაქვეყნა პროექტის ტექსტი, რომელიც მოკავშირეთა მიერ გადმეცა ოსმალეთის დელეგაციას, ამ პროექტში ნათქვამია სამხედრო-საზღვაო კომისიის დაარსების შესახებ, რომელშიაც შედიან კონფერენციის მომწვევ და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი,

ლოზანნა, 7 დეკ. დღეს პირველ კომისიის სხდომაზე ამერიკის წარმომადგენელმა რაილდმა გააკეთა მთელი რიგი ხასენსაცო განცხადებებისა. ლორდ კერზონმა გახსნა სხდომა, რომელიც ორი საათი გაგრძელდა, „სრუტეების მიმართ მოკავშირეთა გეგმების განმარტებით. ამ გეგმებში შედის „ნეიტრალურ ზონის დაწესება და საერთაშორისო საკონტროლო კომისიის დაარსება, რომელშიაც შევლენ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, იაპონიის, რუმინიის, ბულგარეთის, საბერძნეთის, ოსმალეთის და რუსეთის წარმომადგენელნი. მოკავშირეთა წინადადება გულისხმობს აგრეთვე სამხედრო და სავაჭრო გემების სრუტეებში „თავისუფალ მიმოსვლას, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს ტონაჟის განსაზღვრით იმ შემთხვევაში, თუ გემები ხანგრძლივად იქნებიან შავ ზღვაზე. ამერიკის წარმომადგენელმა რაილდმა განაცხადა, რომ ამერიკა მოითხოვს სრუტეების სრულ თავისუფლებას, ვინაიდან ამერიკას „საშუალება უნდა ჰქონდეს გაგზავნოს თავის გემები ყველგან, სადაც ამერიკის ქვეშევრდომები იმყოფებიან. აღძრულ საკითხების ცოტა ხნის განხილვის შემდეგ, სხდომა შეწყვეტილ იქნა პარასკევამდე.

# უცხოეთი

### რუსეთი და საფრანგეთი

მოსკოვი 7 დეკემბერი. სენ-ეტიენის სავაჭრო პალატამ მხარი დაუჭირა მარსელის სავაჭრო პალატის წინადადებას რუსეთში საერთო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ მასთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობის გამორკვევის მიზნით.

### იაპონია და რუსეთი

მოსკოვი 7 დეკემბერი. იაპონიის მთავრობის განზრახვა აქვს მოაწყოს სა-[illegible] გ დოები მთ ვოობის და კე ძო კაპი-ტ ლის მონაწილეობით რუსეთთან ვაჭ-რობის გაძლიერების მიზნით ფიქრობენ რომ დეკემბერს ტოკიოში შესდგება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობაში დაინტერესებულ სავაჭრო—სამრეწველო წრეების კრილობა.

### ლატვია და განიარაღება

მოსკოვი 7 დეკემბერი. ლატვიის მთავარ შტაბის უფროსმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ლატვიის განიარაღება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის წინასწარ განიარაღების შემდეგ. მან აღნიშნა [illegible] ნეიტრალური ზონი [illegible] რუსეთის [illegible] დ ბ ვიის ტერიტორიაში.

### პოლონეთში

მოსკოვი 7 დეკემბერი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, პილსუდსკიმ საბოლოოდ უარი სთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტად მისი კანდიდატურის წამოყენებაზე და განაცხადა, რომ პრეზიდენტის მოღვაწეობა ძლიერ შეზღუდულია კონსტიტუციის მიერ. პილსუდსკი რჩევას იძლევა აირჩიონ პრეზიდენტად ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლება კომპრომისებზე წასვლა.

### შორეული აღმოსავლეთი

მოსკოვი 7 დეკემბერი. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა მიიღო მისასალმებელი დეპეშა ნიკოლაევსკის სამაზრო რევკომისაგან, რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ რევკომის ძალა-უფლება გავრცელდება შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის უკანასკნელ ნაჭერ მიწაზე—სახალინის რუსეთის ნაწილზე პროფკავშირთა „ცენტრალურმა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ჩაირიცხონ შორეულ აღმოსავლეთის პროფკავშირები სრულიად—რუსეთის გაერთიანების შემადგენლობაში.

— ხიკ ლ [illegible]სკში მოეწყო პირველი შო მას [illegible]ტელ ს ხ ლინ ს ოლქი ოქროს ამოსადგადდ.

# ცოტა რამ ძუკუ ლოლუაზე

ჩვენი მოწინავე საზოგადოებისათვის არ არის უცხო ხალხური მომღერალი ძუკუ ლოლუა. არც საზოგადოების მშრომელი-გლეხური ნაწილისათვის არის უცნობი, რომელთა წრეში სწარმოებს მისი მოღვაწეობა, განსაკუთრებით მეგრელ აფხაზთათვის—მან კარგად შეითვისა მათი სულისკვეთება, ზნე-ჩვეულება და მათგანვე აღებული მუსიკალური ჰანგების გადამუშავებით საშვილიშვილოდ შეუნახა მომავალ თაობას, ცნობა, „თავის წინაპართა ტანჯვა მხიარულებისა და ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებას კი შესძინა მრავალნაირი მნიშვნელობით სავსე ჰანგები და ამით ხელი შეუწყო მის გამდიდრებას.

მას დიდი ხანია იცნობს ქართველი საზოგადოება, როგორც დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერების მომღერალს, მაგრამ საზოგადოებას დღემდე არ ქონია საშვალება მის მოღვაწეობაში ღრმად ჩაეხედა და გაეთვალისწინებია იგი მთელი მისი სიდიდით; თუმცა არც ამ წერილის მიზანია ძ. ლოლუას მოღვაწეობის ვრცელი დახასიათება, მხოლოდ საჭიროდ ვხთვლი შევეხო მისი მუშაობის მთავარ მომენტებს.

არ შეუდგები იმის გამორკვევას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხურ მუსიკას ან პოეზიას ერის ცხოვრებისათვის, მისი ისტორია ან ხელოვნებისათვის, ვინაიდან ამაზე საკმაოდ იწერება და შეიძლებოდა მაზე ცალკე წერილიც დაწერილიყო. ძ. ლოლუა ეს მთვარეა მეგრელ აფხაზთა ცაზე ამოსული, მისი დაბეჩავებულ ხალხის მანათობელად.

ძუკუ მოევლინა განსაკუთრებით მათ, ჩამორჩენილთ და მივიწყებულთ და ფართე საზოგადოების ყურადღება მათკენ მიმართა.

ამ 25 წლის წინად 1897 წელს პირველად გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და თავისი შედგენილი და გაწვრთნილი მუშური გუნდით წარუდგა ფართე საზოგადოებას, მან მრავლად მოკრიბა მეგრულ-აფხაზურ სვანური და გურული ხალხური სიმღერები, შეასწავლა გუნდს და აღნიშნულ წელს ასმინა საზოგადოებას, ქუთაისის, ბათომის, სოხუმის და ოჩემჩირის სცენაზე, მეგრელ-აფხაზი და სვანი გლეხების სულის სიღრმიდან ამოხთენილი ტანჯვა-მწუხარება და მხიარულება. მისი მიზანი იყო ჩვენი მოწინავე საზოგადოებისათვის გასაგები გამხდარიყო ეს კუთხე თავისი ზნე-ჩვეულებით, რომლიდან შეიძლებოდა მრავალი რამ ამოკითხულიყო. ამ ხნიდან ვიდრე 1904 წლამდე სამეგრელოს სხვა და სხვა კუთხეში მართავდა კონცერტებს, ხოლო 1904 წ. დაიწყო მუშაობა ქ. სოხუმში და აფხაზეთის სხვა და სხვა ადგილებში, სადაც აარსებდა გუნდებს და გარდა მეგრულ აფხაზური სიმღერებისა ასწავლიდა ქართულ სიმღერებს, რომ ამით ერთი მეორისათვის დაეახლოვებინა ორი მოძმე ხალხი აფხაზები და ქართველები და მათში ძმური სიყვარული გაეძლიერებინა. იგი თავისი მიზანს ოდნავ აღწევს და მიუხედავად იმისა, რომ პირველად „ზოგიერთი აფხაზი მოწინავეები ურყოფით უყურებდენ მის მუშაობას, ბოლოს მაინც ჰპოვებს მათში სიყვარულს. დასაყრდნობ ძალათ თავისი მიზნის სისრულისათვის მას ახალგაზდობა მიაჩნდა და არავითარ საშვალებას არ დაერიდებოდა მათი გულის მოსაგებათ, ხშირად მართავდა კონცერტებს ღარიბ მოწაფეთათვის და ხშირადაც საკუთარი ჯიბიდან უწევდა დახმარებას. მართლაც შრომა უნაყოფოდ არ დაკარგულა. აფხაზთა ოჯახებში სადაც ქართული ლაპარაკიც არ იციან, თქვენ იქ ქართულ სიმღერას გაიგონებთ, რაც დაუფასებელს ხდის ძუკუს შრომას. ვნახოთ როგორი სიტყვებით მიმართავს „სოხუმის ახალგაზდობა ძუკუს.

— Вам, Дзуку Лолуа, собирателю и хранителю песен родных, мы, кого Вы научили петь и чувствовать их, искренно благодарны, ერთ ერთ სურათზე.

მან რამოდენიმეჯერ გამართა მოგზაურობა სოხუმის გუნდით საქართველოს კუთხეებში, იმ მიზნით, რომ გაეცნო ერთი მეორისადმი ეს ორი ხალხი. მედგარი მუშაკი, დასახულ მიზნის მისაღწევად მარტო კონცერტების გამართვას როდი ჯერდება, იგი სარგებლობს კონცერტებით და ყოველთვის კონცერტის დაწყების წინ მართავს ბაასს საზოგადოებასთან მუსიკის მნიშვნელობაზე და მოუწოდებს ჩაგრულთა და გვემულთ სინათლისაკენ. რასაკვირველია ყოველ მის ფეხის ნაბიჯზე დაბრკოლებები იმართებოდა მეფის ფეხმამტვერებისაგან და ასეთი მისი საქციელი ხშირად სახიფათოც იყო, მაგრამ მედგარი, მედგრად ებრძოდა ყველა ამათ.

სოხუმში მან დაჰყო 1919 წლამდე და გარდა მუსიკალურ დარგისა ყოველ განმანათლებელ დაწესებულებაში ენერგიულ მუშაობას ეწეოდა, როგორც დრამატიულ საზოგადოებაში და ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში,

1919 წელს ძუკუ ეწვია სამეგრელოს და მისი ხელი არსებითი დაღს ამჩნევს ამ კუთხეს. საკმარისი გახდა მისი გამოჩენა, რომ სამეგრელოს დაბა სოფლები მომღერალი გუნდებით მოფენილიყო. ძუკუს მუშაობა უმთავრესად სწარმოებს გლეხებში, იგი სულით და გულით მუდამ გლეხთანაა, მასთან საუბრობს, მასთან მღერის ხან ნადურს და ხან ურმულს, რითაც ალტაცებაში მოყავს გლეხი, რომელიც ღირსეულ მადლობას უძღვნის ღირსეულ მასწავლებელს და სულის მეგობარს. სრულიად სამართლიანად ეტყვის სურამელს—და შენც გიყვარს საქართველო.

სიცოცხლით სავსე ახოვანი მამულიშვილი ხელი- ჭინჭე ჭყონდიდელი ეტყვის:

— შეათვისე ძმასთანა ძმა
მეგობართან მეგობარი-ო.

ძუკუმ მარტო სიმღერების შეგროვებით და კონცერტებზე გამოტანით როდი განსაზღვრა თავისი მოღვაწეობა. მან ისინი გადაამუშავა და ნოტებზე გადაიღებინა, რომ ჟამთა სრბოლას არ წაელეკა ჩვენი ჩვენი წარსულის საიდუმლოებით სავსე სიმღერანი და ქართული ხელოვნების სალაროში კი შეეტანა ფრიად მნიშვნელოვანი ხოლო უცნობი ჰანგები. რომ მეტი სამსახური გაეწია ხალხისათვის მან ხელი კალამს მოჰკიდა, რისი ნიმუში ამ სამიოდე წლის წინად კიდეც დავინახეთ „ჩვენი ცხოვრების სურათები“ სათაურით, ხოლო მისი დაუბეჭდივი მოთხრობები ბევრ რამეს გვეტყვიან, რომელიც უსახსრობის გამო ვერ დაბეჭდილა.

ძუკუ შევიწროებული იყო რუსის ჩინოვნიკებისაგან, რომელიც სულს ხდიდა ქართველ ერს და ყოველი მისი ნაბიჯი მოითხოვდა უდიდეს შრომას, რასაც იგი არ ერიდებოდა, რადგან ხედავდა მისი შრომის ნაყოფს, ხედავდა გამოღვიძებულ ხალს, რომელიც თავისი წარსულით საუნჯეთესო მომავლისაკენ ილტვოდა.

ოცდა ხუთი წლის განუწყვეტელი შრომა ახასიათებს ძუკუს ჯერ კიდო ახალგაზრდა ცხოვრებას, რომელმაც ძალზე დაქანცა და დაავადმყოფა, ხოლო სწრაფვა ხალხისა და ეროვნული ხელოვნების სამსახურისა ისევ ისე ძლიერია. სწორედ აქ არის მოვალეობა ყოველი ქართველის და ხელოვნების მოყვარულის ვალად გაიხადოს მისი ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება, რომ იგი კვლავ ძლიერ სავსე ვიხილოთ გართულებულ ცხოვრებასთან საბრძოლველ რიგებში.

სიტყვა ხელოვნების მუშაკთ ეკუთვნის.

გან-კან.

შენიშვნა: როგორც ვიცით, არც ძ. ლოლუა არც ზ. ჩხიკვაძე არ არის შეტანილი იმ სიაში, რომელსაც მთავრობამ დახმარება დაუნიშნა, თუმცა მათ ეს სავსებით დაიმსახურეს და აუცილებლად საჭიროებენ. არიან სხვებიც ასეთები და ამიტომ საჭიროა გამოქვეყნებულ სიის შევსება.

რედაქცია.

# მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა

(მოკლე ანგარიში)

(შემდეგი *)

ომმა და ანტანტამ უდიდესი ზიანი მიაყენა ცენტრალურ ევროპას და რუსეთს. ასე მაგ. 1920 წლისათვის დაჰკლდა ტერიტორია და ხალხი:

| | ტერიტორია. ათასი ოთხ მილი. | ხალხი. მილიონი. |
|---|---|---|
| გერმანიას . | 25,4 | 6,9 |
| ავსტრიას . . | 85,1 | 22,8 |
| უნგრეთს. . | 90,6 | 13,4 |
| რუსეთს . . | 149,0 | 24,2 |

ცენტრალურ სახელმწიფოების ტერიტორიალურ და ეთნიურ დანგრევის ნიადაგზე შეიქმნენ ბალკანეთის ახალი სახელმწიფოები.

სურათი ახალი პოლიტიკური კომბინაციებისა იმპერიალისტური ომის ნაყოფად შემდეგია:

| | 1913 წ. ტერიტ. ათასი ოთხ მილი. | 1913 წ. ხალხი. მილიონი. |
|---|---|---|
| ინგლისი . . | 121,6 | 46,4 |
| საფრანგეთი | 207,0 | 39,6 |
| იტალია . . | 110,6 | 35,5 |
| ბელგია . . | 11,3 | 7,5 |
| სერბია სამ. სლ | 33,8 | 4 5 |
| რუმინია . . | 53,4 | 7,5 |
| საბერძნეთი . | 41 9 | 4,8 |

| | 1920 წ. ტერიტ. ათასი ოთხ. მილ. | 1920 წ. ხალხი. მილიონი. |
|---|---|---|
| ინგლისი . . | 121,6 | 46,9 |
| საფრანგეთი . | 212,6 | 41,4 |
| იტალია . . | 117,9 | 36,0 |
| ბელგია . . . | 11,3 | 7,5 |
| ჩეხო სლოვაკია | 54,4 | 13,6 |
| სერბ. სამ. სლ. | 95,6 | 11,3 |
| რუმინია . . | 122,2 | 17,3 |
| საბერძნეთი. | | 8,0 |
| პოლონეთი . | 149,0 | 24,2 |

ევროპის ტოპოგრაფიის და დემოგრაფიის ანალიზიდან თქვენ ხედავთ რომ უშუალოთ ანტანტის ხელმძღვანელი სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი და იტალია) დარჩენ წინანდელს მდგომარეობაში, ძალიან დიდი ცვლილებებია შეტანილი რუმინიის, ჩეხო-სლოვაკიის, სერბიის, საბერძნეთის და პოლონეთის ცხოვრებაში, რომელთაც ტერიტორია და ქვეშევრდომთა რიცხვი ორჯერ და სამჯერ გაიზარდა. 1919 წლისათვის ანტანტის მიერ შექმნილმა პატარა სახელმწიფოებმა მიიღეს ამერიკიდან, ინგლისიდან და საფრანგეთიდან უამრავი თანხა—5 ათასი მილიონი მანეთი ოქროთი. თქვენთვის აშკარაა თუ სად არის პოლონეთი, რუმინია, ჩეხო-სლოვაკია და საბერძნეთი უერთგულესი ძალია ანტანტისა, თუ რად არიან ისინი რეაქციის პირმშო ნაწილები.

ავსტრო უნგრეთის და გერმანიის დანგრევის შემდეგ ანტანტის კლასობრივ ინტერესს შეადგენდა რუსეთის დამორჩილება. ინგლისსა- ფრანგეთისათვის ევროპის სახელმწიფოთა შორის არც ერთს არ ქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც რუსეთს. რუსეთში მოსახლ ობდა სამჯერ მეტი ხალხი, ვიდრე ინგლისში 3 ნახ. ჯერ მეტი ვიდრო საფრანგეთში და ასევე იტალიასთან შედარებით. ტერიტორიით კი რვა მეათედი მთელი ევროპის. არც ერთი ქვეყანა მეზობელთა შორის იმდენ საქონელს არ ასაღებდა, რამდენსაც რუსეთი, არსად იმდენი ფული „არ ქონდათ ჩაბნეული, რამდენსაც რუსეთში. რუსეთი ევროპის ნამდვილი კოლონია ბაზარი იყო. ასე შემოტანილთ რუსეთში:

| | ფუთ. | რკინა, | ფოლადი. |
|---|---|---|---|
| ომამდის მილ. ფუთი. | | | |
| 1910 წ. | 0,4 | 2,5 | 0,9 |
| 1911 „ | 3,4 | 2,8 | 1,2 |
| 1912 „ | 6,3 | 2,9 | 1,3 |

მთელ ამ იმპერიებში უდიდესი ნაწილი გერმანიას და ინგლისს ეჭირა ასე შემოუტანია 1912 წ. მილ. ფუთი.

| | თუჯი— | —რკინა | ფოლადი |
|---|---|---|---|
| ინგლისს — | 2,2 — | — 0,4 — | 0,2. |
| გერმანიას— | 3,4 — | — 2,1 — | 0,6. |

რაც შეეხება ფულს მარტო სესხის სახით საფრანგეთს ქონდა რუსეთში თ[illegible] წლის წინად 6 მილიარდი ფრანკი ხოლო ევროპიელების ვალი მარტო ომის დროს 7 მილიარდ მანეთს აღემატება ოქროთი. მრეწველობითი ვალები რომ ამ დიდ ციფრებთანაც შეუდარებელია.

რუსეთის რევოლიუციამ ჩაყლაპა ეს უზღვავი ქონება და საარაკო ზიანი მიუტანა ევროპას. ბაზრის დახურვა ხომ ამ ზიანს კიდევ ათასჯერ ადიდებს.

ეს მცირე ცნობა ჩვენ აქ მოვიყვანეთ მხოლოდ იმის საილიუსტრაციოთ რომ რუსეთი ცენტრალური ევროპის და ინგლისის უდიდესი ბაზარი იყო რუსეთის რევოლიუციამ ორი აქტი მოახდინა: 1. ექსპროპრიაცია უყო უცხოეთის ვალს § 2 დახურა რუსეთი, როგორც ბაზარი არ არსებობს არც ერთი ეკონომისტი, რომ [illegible] ყველასთვისაც სავსებით არ იყოს აშკარა რომ ევროპის კოლონიების ეკონომიური დამოკიდებულების შემდეგ რუსეთის ბაზრის დახურვა უდიდესი უბედურებად არ მიაჩნდეს ევროპისათვის ყველაზე კარგად ეს იცოდა თითონ ევროპის ანტანტამ, რომელსაც თავისი ლოცვა-კურთხევით შექმნილ სახელმწიფოებს დაავალა რუსეთის რევოლ უციის დამხობა და ისეთი მთავრობის შედგენა, რომელიც ვალსაც იცნობდა და სასურველ სხვა და სხვა ხელშეკრულებასაც ხელს მოაწერდა. 1919—20—21 წ. წ — არის წლები, როცა ჩეხოსლოვაკები, ბერძნები, სერბიელები, რუმინები, იაპონელები და სხვა. იბრძვიან რუსეთის მრავალ ფრონტებზე. ამ ბრძოლებს მეტ ს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ აქ შედეგი უფრო გვაინტერესებს, ვიდრე მ სი პროცესი. შედეგი კი ყველასათვის აშკარაა: როგორც რუსეთის ანტანტის რაზმები ისე ანტანტის ფულებით და ამუნიციით ამოძრავებული ანტანტის მცირე სახელმწიფოები სავსებით განდევნილია რუსეთის ცენტრიდან და ისეთი ფაქტიური მდგომარეობაა შექმნილი, რომ ლამის არის ბიუროკრატიულმა ევროპამ იურიდიულადაც იწამოს რუსეთის კომუნისტური მთავრობა.

ევროპა რუსეთის მილიტარულ შეჯახების საკითხების შესახებ ჩვენ შემდეგი კითხვა წამოვაყენეთ: როგორ შესძლო რუსეთმა ევროპის ძალების განდევნა?

ამ კითხვის მეცნიერულად გაშუქებას ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. დამარცხდება თუ არა რუსეთი? ვიმეორებ, ეს არის მთავარი საკითხი. თუ რუსეთი გაიმარჯვებს—ევროპიულ კაპიტალიზმს გასაქანი არ ექნება, იგი უეჭველად ჩაკვდება, თუ რუსეთს გა[illegible] სრულს და ევროპა რუსეთში შეადგენს სასურველ მთავრობას ევროპის ბურჟუაზიის ბატონობა დიდი ხნით განმტკიცდება.

ეს არის ჩვენი დებულება. რუსეთის პრობლემა არ ამოიწურება მარტო რუსეთ-ევროპის განხეთქილებით. ევროპის საუბედურო, რომ მარტო რუსეთი იყოს, ამდენ ხანს ევროპა ადვილათ შეძლებდა რუსეთის გასრესას, მაგრამ ევროპას რუსეთზე უფრო გაცილებით ღონიერი მეტოქე და მტერი ყავს, რომელიც ანიავებს და სპობს მას. ესენი არიან ოკეანეს გაღმა ქვეყნები. თანამედროვე ევროპას ორი მხრივ ეჭირება მუხრუჭი—აღმოსავლეთით რუსეთის მხრით, მეორე მხრივ მსოფლიოს გამოღვიძებული ახალი კაპიტალისტური ქვეყნები.

ჩვენ—პარტიამ თავის დროზე ავართვით ამ მოვლენას ალღო განსაკუთრებით პარტიის მე 6 კონფერენციაზე, მაგრამ რამდენი დღე მიდის იმდენათ მწვავდება ოკეანეთა მხრივ ევროპის მდგომარეობა.

ომის დროს და ომის შემდეგ მოხდა შესანიშნავი მოვლენა: ევროპა დაეცა და ევროპის მონა სახელმწიფოები ფეხზე წამოდგენ. ევროპა მოელოდა ომის მალე გათავებას და თავის ძველ კოლონიების უმალვე დამორჩილებას, მაგრამ ეს აღარ მოხდა. პირიქით, ყოფილი კოლონიების საქონელი ისევე ევროპას აწვება და იბადება მათ შორის დიდი შური, ბრძოლა, როცა კოლონიები ომის დროს წინჩვეული გზით ვეღარ აბერხებენ თავიანთ საქონლის გასაღებას.

ამ მდგომარეობას ევროპის კრიზისისათვის გაცილებით სერიოზული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მარტო რუსეთის რევოლიუციას, რომ ადვილი გასაგები

*) იხ. „ტრიბუნა“ № 363.

# ახალი ამბები

— **შრომის სახ. კომისარიატში.** თავისუფალ შრომის პირთა კავშირის წევრთა გაწმენდისათვის მოწყობილ იქმნა ცენტრალური კომისია, რომელშიაც წევრად შედის აღნიშნულ კავშირის კომიტეტის და მის სარევიზიო კომისიის თითო თითო წარმომადგენელი, ხოლო თავმჯდომარედ კი შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

— თავისუფალ შრომის პირთა კავშირებს წინადადება მიეცათ გადაიდონ შემოსავლის 5-პროც. შრ. სახ. კომისარიატის განკარგულებაში —რესპუბლიკის მასშტაბით თავისუფალ შრომის პირთა კავშირების მოწყობისა და გაძლიერების საჭიროებათათვის.

— ვინაიდან აუარებელი კონფლიქტები შემოდის შრომის ინსპექციებისა და კავშირებიდან, ცნობილი იქმნა არსებობა შრომის კომისარიატის საკონფლიქტო კომისიის მეორე სესიისა, რომელსაც ექნება კვირაში 4 სხდომა, ხოლო საკონფლიქტო კომისიის პირველ სესიას სამი სხდომა. „საკონფლიქტო კომისიის დადგენილებანი განხორციელებულ იქნებიან საკონფლიქტო განყოფილების მიერ, თანახმად არსებულ წესისა.

— **საკონფლიქტო კომისიის მოქმედება ოქტომბრის თვეში.** ოქტომბრის თვეში გარჩეულ იქმნა 28 კონფლიქტი, აქედან 20 ეკუთვნის პროფკავშირების წევრებს, უკანასკნელი კავშირების, მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: სახალხო გამოკვების პროფკავშირს ეკუთვნის— 6 კონფლიქტი, საბჭოთა მუშაკების —3, კომუნალურ მეურნეობის—2, მიწა-ტყის—3, მელითონეთა—1, ტყავზე მომუშავეთა—1, მქსოველთა—1, მკერავთა—1, სურსათ-სანოვაგეზე მომუშავეთა—1 და განათლების კავშირს—1, აქედან 13 გაირჩა კონფლიქტების წესით, ხოლო 7 შეთანხმებებით.

ზემო აღნიშნული 28 კონფლიქტიდან, 4 კონფლიქტი ეკუთვნის სახ. წარმოებას, ხოლო 5 სახელ. დაწესებულებას, 2 საზ. წარმოებას, ხოლო დანარჩენი 17 კონფლიქტი კერძოს.

საკონფლიქტო განყოფილების კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციაში გამტარებელ ქვე განყოფილების მიერ. ოქტ. თვეში გატარებულ იქმნა 21 კოლექტიური ხელშეკრულება პროფ. კავშ. მიხედვით ზემოხ. 21 კოლექტიური ხელშეკრულება შემდეგის მიხედვით ნაწილდება: სურსათ-სანოვაგეზე მომუშავეთა კავშირს ეკუთვნის—4, სამთომადნო მრეწველობის—4, ხეზე მომუშავეთა—3, განათლების—3, სახ. გამოკვების—3, კომუნალურ მეურნეობის—2, ადმშენებლობით—1, და ტრანსპორტებზე მომუშავეთა კავშირს—1.

— **ქ. ტფილისის შრომის ბირჟის მოქმედების ანგარიში ოქტომბერში.** შრომის ბირჟის მუშაობის სახელმძღვანელოდ და შრომის ბაზრის მოწესრიგების დარგში ერთიმხრივ, შრომის ბირჟის და მეორე მხრივ პროფესიონალურ — სამეურნეო საზოგადო ორგანიზაციათა შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად დაარსებული იქმნა შრომის ბირჟის კომიტეტი, რომელსაც საანგარიშო თვის განმავლობაში ჰქონდა 3 სხდომა და გაარჩია 32 საქმე. უმუშევართა მოძრაობის სურათს იძლევა შემდეგი: აღრიცხული იქნა 2384 მამაკაცი და 1044 დედაკაცი, რაც შეადგენს სულ 3428 უმუშევარს, შემოვიდა მოთხოვნილება 1746 კაცზე, გაგზავნილ იქნა სამუშაოზე 1679. მოხსნილ იქნა აღრიცხვიდან 211 უმუშევარი, 1 ნოემბრისათვის დარჩა აღრიცხვაზე სულ 12214 ამ რიგათ როგორც ხედავთ 100 მოთხოვნილებაზე მოდიოდა 1986 შრომის მიწოდება.

— აგვისტოს თვეში დაზღვეულ იქნა 441 უმუშევარი, რომლისათვის გაცემული თანხა უდრის 218,415,000 მან., სექტემბრის თვის დახმარების გაცემისათვის, დაზღვეულ იქნება 850 უმუშევარი, რომლებიც პროფკავშირების მიხედვით ასე ნაწილდებიან: საბჭოთა მუშაკების პროფკავშირს დაეთმო 150 წევრის წამოყენება დაზღვევისთვის სახალხო გამოკვების 80, სურსათ-სანოვაგის—150, ტრანსპორტზე მომუშავეთა — 80, მელითონეთა—80, მეტყევეთა—40, კომუნალურ მეურნეობის—10, მიწა-ტყის—20, სახალხო ნახმის—10, მქსოველთა—40, მკერავთა 40, ადმშენებლობის—30, ხეზე მომუშავეთა—20, ხელოვნების—20, განათლების—30, სამთო-მადნო-მუშების —10ს მზექდავთა—20, და სამედ. სანიტარულ შრომის პროფკავშირს —4.

ოქტომბერში გაგზავნილ იქნა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას 28 უმუშევარი, რომელსაც მიეცა სამგზავროთ სახარჯო ფული და შეღავათიანი ბილეთი 50 პროცენტით დაკლებით.

სწავლის ფულის გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნა 50 უმუშევრის ოჯახის წევრები.

საკონტროლო კომისიის მიერ დათვალიერებულ იქნა 16 დაწესებულება და შემჩნეულ იქნა 21 შემთხვევა მუშა-მოსამსახურეთა შრომის გარეშე მიღების.

უმუშევართა კვალიფიკაციის გამომრკვევ საექსპერტო კომისიას ქონდა 8 სხდომა, გამოცდაზე უნდა გამოცხადებულიყო 460 უმუშევარი, ჩააბარა გამოცდა 362 უმუშევარმა, ჩაჭრილ იქმნა 32, ხოლო არ გამოცხადებულს 66.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში დია წერილში კონსტანტინე გამსახურდიას მიმართ არის შემდეგი კორექტურული შეცდომა სწერია: „ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით ასეთ გამოსვლას ჩვენს წინააღმდეგ ამ უპასუხისმგებლო პირისაგან..." უნდა იყოს „ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევდით ასეთ გამოსვლას ჩვენს წინააღმდეგ უპასუხისმგებლო პირისაგან..."

## სამხატვრო ქრონიკა

ახალი ფარდა ქართულ თეატრისთვის ცნობილმა თეატრალმა, ელენე სუხადოლსკაია (პ ვეპაძე), რომელსაც ჰქონდა კ. მარჯანიშვილთან ერთად მოსკოვში თავის საკუთარი „თავისუფალი თეატრი" რუსთაველის თეატრს შესწირა ფარდა, ეს ფარდა დახატულია ცნობილ რუსი მხატვრებისაგან და შეადგენს იშვიათ საჩუქარს. ქ-ნ სუხადოლსკაიას გადაწყვეტილი აქვს ქართულ თეატრს კიდევ ბევრი რამ უძღვნას, ამის შესახებ კიდეც განუცხადა განათლების სახალხო კომისარს.

# გამარჯვება

**(სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერის გამო)**

სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

აღწერა დაიწყო მთელ რესპუბლიკაში ერთ დღეს—30 ნოემბერს და უკვე 4 დეკემბერს და ზოგიერთ ადგილებში 3 დეკემბერს იგი დამთავრდა.

ამ რიგად განხორციელდა ქართული სტატისტიკის მისწრაფება—სურვილი, მიმართული წყვდიადით მოსილ ქალაქებისა და მათი ცხოვრების პირობების გაშუქებისაკენ.

ძნელი და ფრიად რთული იყო ამოცანა დასმული ახალგაზრდა მეცნიერების ახალგაზრდა ძალების მიერ.

ტრადიციის უქონლობა, ძალების სიმცირე თავისთავად ძალიან დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდენ ქართულ სტატისტიკისთვის, მაგრამ იგივე პირობები უკარნახებდნენ მას უფრო ბეჯითად, უფრო მეყაითად მოეკიდა ხელი ამ საქმისათვის. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ცდამ ფუჭად არ ჩაიარა, დღეს ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგევართ, ჩვენ ხელთა გვაქვს უდიდესი მნიშვნელობის, ჩვენი საკუთარი ძალებით გატარებული სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა...

უნდა ითქვას, რომ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა, მოლოდინს გადააჭარბა იმიტომ რომ, ჯერ ერთი თვით პროგრამა აღწერისა, ფრიად რთული იყო, ევროპის და რუსეთის სტატისტიკურ მეცნიერების ის ნაცადი მეთოდები, რომელნიც დაედო საფუძვლად ამ აღწერას, გულისხმობდენ კარგი შედეგების მიღებას, მხოლოდ იმ პირობით, თუ საღწერო აპარატი კარგად იქნებოდა მომზადებულ-გაწვრთნილი, თუ აღწერის ხელმძღვანელნი, როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ სათანადო სიმაღლეზე იქნებოდენ დაყენებულნი. მართლაც და ამ აღწერაში მონაწილეობას იღებდა 2000 კაცზე მეტი, ეს უჩვეო რიცხვია საქართველოს პირობებში. 37 პუნქტი უნდა ყოფილიყო აღწერილი, 37 ქალაქი რომელნიც აღწერის ორგანიზაციის, პროგრამის და ტაქტიკის მხრივ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ცენტრთან, ცენტრალ. საადწერო ბიუროსთან, და ლომლისგანაც ისინი სახელმძღვანელო დირექტივებს და მიმართულებას იღებდენ.

აი სწორედ აქ იყო ჩამარხული საშიშროება, აქ უნდა გამოეჩინა ცენტრ. საადწერო ბიუროს გულისტიობა, ენერგია და წინდახედულობა, და ადგილობრივ ხელმძღვანელთა ინიციატივა და დისციპლინა.

აშკარად უნდა ითქვას რომ ბრძოლის ველზე, რომელიც 5 დღე გრძელდებოდა ყველა თავის ადგილას იდგა. ყველა მომენტები თითქმის უნაკლულოდ იყო დაცული, ამ აღწერაში შეტანილ იქნა სრული შეგნება, ენერგია და დისციპლინა...

მეორე საშიშროება იმართებოდა იმაში, რომ აღწერა უნდა წარმოებულიყო მხოლოდ ქართულ ენაზე, გარდა ზოგიერთი ქალაქებისა, სადაც ეს ტექნიკურად მოსახერხებელი არ იყო, როგორც მაგ. ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში და აფხაზეთში. სულ 37 ქალაქიდან, აღწერა მოხდა რუსულ ენაზე მხოლოდ 7 ქალაქში, დანარჩენ 30 ქალაქში, რომელშიაც შედიან საქართველოს ცენტრები, ბათომი, ქუთაისი, ტფილისი, ფოთი, ... , აღწერა ქართულ ენაზე ჩატარდა. ეს რასაკვირველია ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა, ვინაიდან ჯერ საქართველოში, საერთოდ, ქართულ ენაზე არავითარი რთული აღწერა არ მომხდარა. და ეს იყო პირველი ცდა ქართული სტატისტიკისა, ცდა რომელიც სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდა. დავრწმუნდით, რომ ძლიერა სურვილი, საქმის თავდავიწყებითი სიყვარული, სიყვარული იმ ობიექტიური, სრულიად მიუდგომელი მეცნიერებისადმი, როგორიც არის სტატისტიკური მეცნიერება, ძლიან დიდი ფაქტორი ყოფილა, როგორც საქმის დაწყებისათვის, ისე ამ საქმის დამთავრებისათვის.

და აი დღეს ქართულმა სტატისტიკამ, ქართველ სტატისტიკოსთ შეუძლიანთ იამაყონ იმით, რომ მიუხედავად მრავალნაირი დაბრკოლების, მიუხედავად ზოგიერთ ბოროტი ენებისა, რომელნიც წინდაწინვე უარყოფითად იყვნენ განწყობილნი ამ აღწერის მიმართ, რომელნიც უწინასწარმეტყველებდნენ, რომ ეს აღწერა ვერ ჩატარდება საშუ ველად და მასთან ღელავდნენ კიდეც, რომ ჩვენ ამ მეცნიერულ, დიდ მნიშვნელოვან გამოკვლევას ვაწარმოებთ იმ ენაზე, იმ ხალხისთვის, რომლის მდგომარეობის გამოკვლევას ჩვენ ვკისრულობთ—ჩვენ ეს აღწერა მაინც ჩავატარეთ. დღეს საქართველოს სტატისტიკოსნი ზეიმობენ თავის სრულ გამარჯვებას.

დიახაც, რომ საზეიმოა ეს დღე!

ვინაიდან ეს დასაწყისია, დასაწყისი იმ დიდი და რთული საქმის, რომელიც მოელის ქართულ სტატისტიკას თავის წინაშე. გზდა რიგში სდგას სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომელიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, ისევე წარჩინებით ჩატარდება, როგორც ჩატარდა საქალაქო აღწერა.

ეს პირველი ცდა იყო! საერთოდ დასაწყისი ძნელია. ძნელია, მართლაც, გზის გაკაფვა.

მართალია კარგი დასაწყისი არ გულისხმობს კარგ დაბოლოვებას, მაგრამ ისიც მართალია, რომ ცუდი დასაწყისი იმედს უკარგავს ადამიანს, კარგი დასაწყისი კი ახალისებს, აქეზებს და ახარებს მას.

ქართული სტატისტიკა დღეს გახალისებულია და გახარებული იმიტომ, რომ მან დაიჭირა პირველი გამოცდა, რომ ის დღეს გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლის ველიდან, ამიტომ ქართულ სტატისტიკას დღეს ჩვენ გულწრფელ სალამს უძღვნით.

ბ. ფურაძე.

# დაბალი საფეხურის სწავლა-განათლების საქმე ტფილისში

(გაგრძელება)

**საბავშო ბაღები და სახლები ბავშვთა თავშესაფრები.**

ბავშვთა თავშესაფარი 2 ია, მათში მოსამსახურეთა რიცხვი უდრის—22, მათგან: პედაგოგიურ პერსონალს ეკუთვნის 13, ტეხნიკურ პერსონალს—10.

ორივე თავშესაფარში იმყოფება 120 ბავშვი, მიმდინარე წელს მიღებულია ბავშვთა თავშესაფარში 46 ბავშვი.

პროფკ ვშირის წევრთა ბავშვით 70 ან 58,3 პროც.

ეროვნების მიხედვით ამ წელს მიღებული ბავშვები განაწილებული არიან შემდეგნაირად:

ქართველები 28 ან 40,0 პროც., სომეხი 16 ან 22,9 პროც., რუსები 23 ან 32,9 პროც., სხ. და სხვა ეროვ. 3 ან 4,2 პროც.

**საერთო ცნობები განათლების განყ. შესახებ.**

ყველა განათლების განყოფილების ქვემდებარე დაწესებულებების მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 1736, მათგან:

პედაგოგიური პერსონალი 1228 ან 70,4 პროც., ტეხნიკური პერსონალი 405 ან 22,3 პროც., მედიკური პერსონალი 15 0,9 პროც., კანცელარიის მოსამსახურენი 88 ან 5,4 პროც.

შრომის სკოლებში, ბაღებში, სახლებში და თავშესაფრებში იმყოფება 28,385 ბავშვი, მათგან:

შრომის სკოლებში 26,505 ან 93,6 პროც., ბაღებში 950 ან 3,4 პროც., სახლებში 760 ან 2,7 პროც., თავშესაფრებში 120 ან 0,3 პროც.

---

და დასაჯერებელი შეიქნეს ჩვენი დებულება მოვიყვანოთ საამისოთ პირუთვნელი მასალები.

შეერთ. შტატებს, ყოველგვარი საქონელი.

| | მილიარდი 1913 წ. | დოლარის 1920 წ. |
|---|---|---|
| შემოტანით— | 3,9 | 5,2 |
| გატანით — | 2,4 | 8,0 |

ეს ცნობა უმაღლესი მოვლენაა კაპიტალიზმის ეკონომიურ ისტორიაში ეს მოასწავებს მთელს რევოლიუციას ცხოვრების ყოველს დარგში.

1920 წ. შეერთებულ შტატებს შემოუტანიათ 5,2 მილიარდ დოლარის საქონელი. ასე რომ 2,8 მილიარდი დოლარი წლიურად აწევება კისერზე ევროპას. რა უნდა ქნას ევროპამ ეკონომიურ თავდაცვისათვის, როცა თვითონვე აპირებს წარმოების გაფართოებას, ან რა უნდა ქნას ამერიკამ რომ ეს ამოდენა საქონელი არ გაასაღოს. ბაზრების საკითხი დღეს უმთავრეს საკითხად არის გადაქცეული. მსოფლიო ომმა ამერიკას ერთი უძლიერესი კონკურენტი ჩამოაცილა—ეს იყო გერმანია. დღეს ერთად ერთი სერიოზული კონკურენტი ევროპაში ინგლისია, აზიაში კი—იაპონია. ეკონომიური ინტერესები აგდებენ ამერიკას დაპირისპირულად ერთის მხრივ იაპონია, მეორეს მხრივ ინგლისი.

ვინ გაიმარჯვებს ამ დიდს ბრძოლაში, ვინ არის მეტის ძალებით აღჭურვილი? ჩვენ კატეგორიულად ვამბობთ— ინგლისს და იაპონიას ამერიკა კისერს მოუგრეხს და ამ კისრის მოგრეხა ხდება უკვე დღიურად, სისტემატიურად. შორეულ აღმოსავლეთიდან იაპონიის ჯარის გაყვანა ამერიკის საქმეა უმთავრესად. ეს ფაქტი პოლიტიკური გამოხატულებაა ამერიკის ეკონომიკის გამარჯვებისა იაპონიაზე. რაც შეეხება ინგლისს საკმაოა რამდენიმე ცნობის მოყვანა ამ ორი სახელმწიფოს ცხოვრებიდან, რომ ჩვენ მატემატიკური სისწორით გამოვიტანოთ დასკვნა.

ინგლისში ცხოვრობს 48 პრ. ამერიკის მცხოვრებთა, მთელი შემოსავალი ინგლისის მხოლოდ ერთ მესამედს უდრის ამერიკის შემოსავლისას, ჯხოლო ერთვნული ქონება ამერიკის ქონების 40 პრ. მსოფლიოს ოთხ მეხუთედს ოქრო დღეს ამერიკის ხელშია, ხოლო ინგლისის ვალი ამერიკამ სრულიად მოსპო იმის განმავლობაში და პირიქით, დაადგა უმრავი ვალი, რისთვისაც მარტო პროც. უნდა აძლიოს ინგლისმა ამერიკას წლიურად 500 მილ. გირ. სტერლინგი. 1921 წ. ინგლისი იძულებული იყო გაეყიდა თავისი განძეულებიდან 1000 მილ. სტერლინგის, რომელიც უმთავრესად ამერიკამ შეიძინა.

აქ არც საჭიროა და არც დროა მთელი ეკონომიკის სრული სურათი გადავშალოთ. ამას ჩვენ სხვა ადგას და საგანგებოთ შევასრულებთ. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ცნობას, 1922 წ. მაისში საქონლის გატანა და შემოტანა იძლეოდა ინგლისში შემდეგ ცნობას მილ. გირ. სტერ.

| | შემოტანა | გატანა |
|---|---|---|
| მარტი | 87,9 | 74,7 |
| აპრილი | 80,7 | 74,7 |
| მაისი | 88,8 | 67,0 |

აქედან თქვენ ხედავთ ინგლისის მდგომარეობა საერთოდ სისტემატიურად უარესდება. სხვანაირად ეს არც შეიძლება იყოს. ინგლისის წარმოება თითქმის განახევრებულია. თვიურად ამზადებდა ინგლისი ტონებით:

რაც შეეხება ინგლის იგი კი გადადების მაგიერ კარგავს თავის წინანდელს მდგომარეობას. ასე, ინგლის გატანია ათას ტონებში:

| | არგენტინაში | ბრაზილიაში | ჩილეში | ურუგვაიში |
|---|---|---|---|---|
| 1913 წ. | 3694 | 187 | 589 | 724 |
| 1921 წ. | 887 | 242 | 23 | 222 |

ეს კლასიკური მაგალითი ასეთი უდიდესი მნიშვნელობის პროდუქტისა, როგორც არის ქვანახშირი, ჩვენ მშვენივრად გვიხატავს ინგლისის ისტორიას კოლონიალურ ქვეყნებიდან გამოდევნის შესახებ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: ომის პროცესში, როცა ინგლისს მშვიდობიანი ცხოვრების მოცალეობა არ ქონდა. ევროპის ეკონომიკა ასე ქვეითდებოდა, რომ ახალ ქვეყნებს არა თუ წინააღმდეგობას არ უწევდნენ, პირიქით, გზას უხსნიდნენ და ეპატიჟებოდნენ. ომამდე მაგარი სათბობი მასალით ევროპა კმაყოფილდებოდა ევროპითვე ინგლისით და გერმანიით. ომის პროცესში კი მდგომარეობა შეიცვალა და თუ ამერიკას ევროპაში 1913 წ. შემოუტანია მხოლოდ 923 ათასი ტონა

| | რკინას | ფოლადს. |
|---|---|---|
| 1913 წ. | 855 ათას. | 639 ათას |
| 1922 წ. | 408 „ | 462 „ |

ინგლისის მრეწველობის შესუსტებით ინგლისს ხელიდან გაუსხლტა ის კოლონიები, რომელსაც ომამდე აწვდიდა თითქმის ყოველგვარ ნივთს. ნაწილობრივად ეს ბაზარი დაიპყრო ამერიკამ. ასე მაგ. ქვა-ნახშირი გაუტანია ამერიკას ათას ტონებში.

| | არგენტინაში | ბრაზილიაში | ჩილეში | ურუგვაიში |
|---|---|---|---|---|
| 1913 წ. | 139 | 239 | 84 | 62 |
| 1921 წ. | 697 | 494 | 150 | 88 |

1920 წელში კი მთელი 10,223 ათასი ტონა ნახშირი. ევროპამ ვერ წარმოიდგენს ერთი წუთითაც, რომ ასეთი მდგომარეობის გახანგრძლივება მოითმინოს კარდიფის, რურის და საარის ნახშირის მადაროებმა. ომის შემდეგ იწყება ევროპის სამრეწველო მობილიზაცია და სწორედ ამ მომენტიდან დგება მეტათ რთული და მძიმე პირობები ევროპისათვის.

ომის პერიოდი იყო პერიოდი ეკონომიური ჰარმონიისა ევროპა-ამერიკას შორის, მაგრამ ევროპისათვის დამაკნინებელი. ამ ჰარმონიის დროს ამერიკა არა თუ უპირისპირდება ევროპას, პირიქით, შედის ანტანტის კავშირში, ომობს მასთან აარსებს „ხალხთა ლიგას" და წარმოშობს ვერსალის ხელშეკრულება აქედან თქვენ ხედავთ, რომ ომის დროის ეკონომიური ჰარმონიამ გამოიწვია პოლიტიკური ჰარმონიაც.

ომის შემდეგ მდგომარეობა იცვლება ყველას მოეხსენება, რომ ომის შემდეგ ამერიკა გაქრა ევროპის პოლიტიკურ სფეროდან, როგორც ერთი ხელმძღვანელი და უშუალო მომქმედი ძალა, მან თავი გაანება მისივე ქადაგების შვილს, —„ხალხთა ლიგას", მოშორდა ანტანტას და არც ერთ კონფერენციას, რომელსაც კი ევროპა აწყობს და რომელზედაც მას იწვევენ ამერიკა გაჩუმებული დგას და კონფერენციებსაც არ ესწრება. ყველგან და ყველაფერში ის თვალყურს ადევნებს ევროპას, თუმცა ინგლისის ვალების პატიების შესახებ ყურიც არ გაახძრია და სისტემატიურად იღებს ინგლისიდამ პროცენტებს.

(შემდეგი იქნება).

მიღებულია ამ წელს 8078 ბავშვი, მათგან: საბავშვო სახლში—7507 ანუ 92,9 პროც., ბაღებში—525 ანუ 6,5 პროც., თავშესაფრებში—46 ანუ 0,6 პროც.

მიმდინარე წელს სკოლებში, ბაღებში, სახლებში და თავშესაფრებში მიღებულ ბავშვთა საერთო რიცხვიდან პროლეტარიატის წევრების ბავშვები შეადგენენ: 75,0 პროც.

## ბავშვთათვის სურსათის მომარაგება:

წარსულ წელთან შედარებით საბავშვო სახლებისა და ბაღების სურსათის მომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სურსათს იძლევა სასურსათო კომისარიატი, გარდა ამისა უფრო კარგს და მეტს, გასულ წელთან შედარებით:

დღეში თითო ბავშვს ეძლევა:

ცხვრის ხორცი ერთი მეოთხედი გირ. კარტოფილი ნახევარ გირ., ბრინჯი, ან ზეთი 7 მისხალი, პური 1 გირ., შაქარი 4,2 მისხალი, კომბოსტო, ჭარხალი, პამიდორი, ბადრიჯანი, ხახვი და სხვა მწვანილეული ა—ერთი სიტყვით ბავშვების კვება სრულიად დამაკმაყოფილებელი და მრავალ-ფეროვანია.

ამასთანავე ბავშვებს ხშირად ეძლევათ ხილეულობა და ტკბილეულობა, რაიც არ ითქმის გასულ წელზე.

არის ხანდახან შემთხვევა, როდესაც სასურსათო კომისარიატის მიერ გაცემული სურსათი არ არის საკმარისი, ასეთ შემთხვევაში თვით განყოფილებას უხდება დანაკლის სურსათის შეძენა.

გარდა სასურსათო კომისარიატის მიერ გაცემული პროდუქტებისა, ამ წელში ბავშვებმა მიიღეს საჩუქრად „ოკადან" 150 ფუთი ფქვილი, 12 ფუთი შაქარი, ყავა, ბრინჯი და სხვა სურსათი.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე საზოგადოებამ აგრეთვე ალმოუჩინა რეგულური დახმარება 150 ფუთი სხვა და სხვა კონსერვების გაცემით, მათგანვე მიღებულია 500,000,000 მანეთი (ხუთასი მილიონი მანეთი) რითაც საშვადება მოგვეცა შეგვეძინა ბავშვებისათვის აუცილებელი ტანსაცმელი, ფეხსაცმელები და სხვა.

## ფინანსიური მხარე.

განათლების განყოფილების შესანახად გაცემულია:

აგვისტოში 4,478 მილიონი, რისგანაც შტატის შესანახად დახარჯულია 3,800 მილიონი მანეთი.

სექტემბერში 5,758 მილიონი მანეთი, შტატის შესანახად დახარჯულია 4,400 მილიონი მან., ოქტომბერში 3,872 მილ., შტატის შესანახად დახარჯულია 2,700

განათლების განყოფილების ქვემდებარე დაწესებულებების მოსამსახურეთა ფინანსიური მდგომარეობა ამა წლის 1 სექტემბრიდან გაუმჯობესებულია 100%-ით, 1 სექტემბრის და ოქტომბრის თვეებში ქალაქის აღმასკომის სალაროდან მიღებული აქვს განათლების განყოფილებას 9 მილიარდ მანეთზე მეტი, რომლისგანაც 5 მილიარდი დახარჯულია ვალების დასაფარავად 1 სექტემბრამდე.

1/2 მილიარდი დახარჯულია სექტემბრის ჯამაგირების ანგარიშში 1,1/2 მილიარდი დახარჯულია რემონტისათვის და სამეურნეო ხარჯებისათვის. ყოველთვიური შენახვა განყოფილების ქვემდებარე დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის პერსონალის, კოლექტიური ხელშეკრულების ძალით ჯდება 5 მილიარდი.

განყოფილების შენახვა 1 სექტემბრიდან ქალაქის აღმასკომის მიერ დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვის ჯდება 6 მილიარდი 800 მილ. მან. განყოფილებას ჰყავს დასაკმაყოფილებელი მასწავლებლები 1-ლ ნოემბრამდე, რაიც შეადგენს 8 მილიარდ მანეთს.

ა. რ.

# ხელოვნება

## პირველი სამშაბათი ქართველ მხატვართა საზოგადოებისა ხელოვანთა სასახლეში.

5 დეკემბერი.

მოუხედავად იმისა, რომ ამ საღამოს ქართველი საზოგადოება მიისწრაფოდა ახალ ოპერასა და ვერდის რუხაძის საღამოზე, დარბაზი მაინც სავსე იყო. აქ გაჩნდა სულ სხვა ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა—სხვადასხვა სულიერ განწყობილებით. ორიგინალური იყო პლასტიკური ხელოვნების მუშაკთა სიტყვით გამოსვლა. აშკარად სჩანდა, რომ მათ რაღაც დიდი სათქმელი ჰქონდათ, რომ შინაარსი გაცილებით საჭიროობდა მათ ლარიბ სიტყვას... აქ მოხდა მხატვართა და დანარჩენ მოქალაქეთ ფერადი დაახლოვება, აქ ხელოვანნი ცდილობდენ საერთო ენის აღსადგენად სიტყვების შეფარდებას—მსმენელნი კი—სიტყვის იქით დაფარულ ძვირფას განძის შემეცნებას. მეტად დამახასიათებელი იყო მოქანდაკე ი. ნიკოლაძის; „სურნელება, სურნელება", მოსე თოიძის—„გაფრენა, გაფრენა" და ვ. კოტეტიშვილის—„ორი მუნჯი", „გველეშაპი". ყველამ იგრძნო, რომ წმინდა ხელოვნებით ეძლევა მარმარილოს სურნელება ყვავილისა, ანდეზულ უკვდავ ცეცხლიანი ფანტაზია არწივზე უფრო შორს ფრინავს და მომენტი ამეტყველებს მუნჯებს პირდაპირ ზღაპრულ გველეშაპის წინ...

აქ იყო ყველა ის ელემენტები, რაც საჭიროა დიდი კულტურული საქმის დაწყებისათვის. და ბოლოს, როცა სულით არისტოკრატმა დავით გურამიშვილმა თაყვანისცემის ნიშნად ქართველ მხატვრებს რკინის კარები გაუღო, მის ნათელ თვალებში გადიშალა ისტორიული სურათი ფილიპე მეორის მიერ ტიციანისადმი კალმის მიწოდებისა!

გაუმარჯოს ჩვენ ხელოვნებას!

გაუმარჯოს ადამიანის ნიჭს და მის განმტკიცებას—უკვდავ ყოფას!

დამსწრე.

## ხელოვანთა სასახლეში.

5-ს დეკემბერს ხელოვანთა სასახლეში გაიხსნა პირველი საღამო—jour fix'ე ქართველ მხატვრებისა. მხატვართა წრეს ასეთი საღამოების გამართვა განზრახული აქვთ ყოველ სამშაბათს. დამსწრენი ბევრნი იყვნენ, უმთავრესად ახალგაზრდობა—სამხატვრო აკადემიის მოსწავლენი, მათ შორის სჩანდა მხატვარი გაბაშვილი.

მომხსენებლად გამოვიდნენ მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, მხატვარი მოსე თოიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი. სამივეს მოხსენებას დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა. ი. ნიკოლაძემ მოუწოდა მხატვრებს შეკრებილიყვნენ ამ „სამშაბათების" გარშემო ხელოვნების ნიადაგზე ერთმანეთში მჭიდრო და ინტიმური კავშირის გასაბმელად.

მხატვარი მოსე თოიძეს ასეთი კავშირი საჭიროდ მიაჩნია, როგორც მხატვართა ოჯახში მთლიანობის დასამყარებლად, აგრეთვე ერთი ძლიერი კორპორაციის შესაქმნელად, რათა მათ ხელოვნების საქმეში ანგარიში უწიოს საზოგადოებაც და ხელისუფლებაც. მხატვრობა კი სავსებით უნდა ემსახურებოდეს სამშობლო ბუნების შესწავლა-გადმოცემას.

მესამე მომხსენებელი ვახ. კოტეტიშვილი ეხება ხელოვნების დაცემის საკითხს. მისი აზრით „ხელოვნება საქართველოში განიცდის ისეთივე კრიზისს, როგორც ევროპაში, ხოლო ევროპის კრიზისი გამოწვეულია დიდი მიღწევათა შედეგებით, ზედმეტი შინაარსიანობით, საქართველოში—კი სიცარიელით. ასეა მწერლობაშიც, დრამაშიც და ასევე მხატვრობაშიც. „მრავალი მიმართულებებში გზა აბნეულ ხელოვნებამ დაკარგა სიძლიერე, თავისი სახე. თითქმის ყველა ამ მიმართულებებმა ჰპოეს ამოძახილი ქართულ ხელოვნებაში. მაგრამ როდესაც ევროპაში მას ქონდა ძიების ხასიათი, საქართველოში იგი უშინაარსო მიბაძვის რჩება. ქართულ ხელოვნებამ თავიდან უნდა აიშოროს ასეთი გატაცებები უკიდურესი მიმართულებებითა და თავისი შემოქმედებითი უნარი მიმართონ ძლიერი ეროვნული ხელოვნების შესაქმნელად. ქართველი ხალხი არ არის ფილოსოფიისა და მეცნიერების ხალხი, მხვავსად ფრანგებისა, რომელთაც თავისი ეროვნული ენერგია და სული ხელოვნებაში ჰპოებს უმთავრესად, ქართველი ერიც, მისი აზრით, თავისი ეროვნულ სახეს ჰპოებს ხელოვნურ შემოქმედებაში.

გიორგი კუკიაშვილი.

# მოწერილი ამბები

## პირველი ქართული წირვა ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიაში.

(წერილი მესხეთიდან).

რუსეთის დიდმა რევოლუციამ ერთი უდიდესი შედეგიც მოგვანიჭა ჩვენ, საქართველოს და განსაკუთრებით კი ძველი მესხეთის ქართველ კათოლიკეებს.

დღეს ყოველმა შეგნებულმა ქართველმა იცის, რომ ჩვენში, მესხეთ-ჯავახეთში, ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში წირვა-ლოცვა სრულდებოდა და სამწუხაროდ დღესაც სრულდება ჩვენდა გაუგებარ, სრულიად უცხო სომხურ ენაზე და ამ ენის გარდა ახალციხეში სრულდებოდა ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიაში ლათინურ ენაზეც.

ჩვენ ახლა ამ წერილში დაწვრილებით არ აღვწერთ თუ რათ იყო ჩვენს ეკლესიებში ე. ი. რათ სრულდებოდა ჩვენდა გაუგებარ სრულიად უცხო ენაზე,—სომხურ ენაზე წირვა-ლოცვა ამის შესახებ მრავალჯერ იყო წერილები მოთავსებული ქართულ გაზეთებში და ქართველ კათოლიკეთა შესახებ დაწერილი აქვს დიდ ტომიანი წიგნები სხვათა შორის საქართველოს შვილს ისტორიკოს პატრი მიხეილ თამარაშვილს.

ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი შავბნელი წარსულის წყალობით, ჩვენ ქართველ კათოლიკეები ერთ მორწმუნე სომეხ კათოლიკეებს შეუერთდით ღრონ-ებით და აი ამ შეერთებამ ჩვენი ქართველ-კათოლიკეების გასომხება მოჰყვა სომეხ კათოლიკეთა მღვდელ-არხიმანდრიტების წყალობით ასე, რომ თვით იმ დროინდელ მეფის რუსეთი ჩვენ ქართველ-კათოლიკეებს ოფიციალურად არა გვცნობდა და სომეხ-კათოლიკეთა რიცხვში გვრევდა, ისიც სომხებს გვიწოდებდა, სულ-შემხუთავ მეფის რუსეთის ორმოცი ტომიან კანონებში არსად არის მოხსენებული ქართველ-კათოლიკების არსებობის შესახებ.

იყო დრო, რომ მეფის რუსეთმა მიგვცა. რუსეთის მეფემ ალექსანდრე მესამემ სათანადო კანონიც კი გამოსცა და ჩვენ ქართველ-კათოლიკეებს ოფიციალურად აღგვიკრძალა ჩვენს ეკლესიებში ქართულ ენაზე ლოცვების შესრულება (იმ დროს წირვის გარდა ეკლესიებში ლოცვებს ქართულად ასრულებდნენ) რასაკვირველია იმავე სომეხ-კათოლიკეთა ტერტერ-არხიმანდრიტების ჯაშუშობის წყალობით. იყო შემთხვევა ჩვენს ეკლესიებში, რომ სომხური რომ არავის ესმოდა და თათრული უფრო იცოდნენ ქართველ-კათოლიკეებმა მამა მღვდელი იძანე გვარამაძემ (ვინმე მესხმა) თათრულ ენაზე დაიწყო ეკლესიებში ლოცვების შესრულება. ლოცვა კი სომხური, უცხო ენის ხმა არ გვესმოდა.

ყოველმა შეგნებულმა ქართველმა იცის აგრეთვე, რომ ჩვენ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკები. როგორი ტანჯვით ეროვნებით სომეხ-კათოლიკეთა ტერტერ-არხიმანდრიტებისაგან და დიდი ხანია ჩვენ სომეხ-კათოლიკეთა უღლის მოშორებისათვის ვიბრძოდით. ჩვენ ვის არ მივმართეთ მაშინდელ მეფის ნაცვალს, კათოლიკეთა ეპისკოპოსს და თვით რომის პაპსაც მაგრამ ჩვენი ცრემლიანი თხოვნა მათ ყურამდე არ წვდებოდა და ჩვენ ასე ერთს ტალღაში ვიწოდით.—ვინაიდან თვით მეფის რუსეთი ხელს გვიშლიდა სომეხ-კათოლიკებთან ერთად.

ჩვენი სამშობლო საქართველო რუსეთის მეფის უღლისაგან, რომ განთავისუფლდა და ჩვენც უფრო თავისუფლად ამოვისუნთქეთ და ჩვენი საქართველოს სახელმწიფოები (მთავრობა) კვლავ ჩამოყალიბდა ჩვენ აღვძარით კვლავ საკითხი რათა ახლა მაინც შეგვქცია რომის პაპს უმთავრესი ყურადღება და ჩვენ ქართველ-კათოლიკეებს გვაშორებინა სომეხ კათოლიკეებისაგან, მათ უღლისაგან განთავისუფლებინა ერთხელ და სამუდამოთ, რადგან ჩვენ სულით, გულით ენით, ხორცით, ძვლით ქართველები ვიყავით საქართველოში დაბადებულნი.

ჩვენ კათოლიკური სარწმუნოება მივიღეთ ჩვენს სამშობლო საქართველოში.

როგორც იყო ჩვენი ცრემლიანი ვედრება მიაღწია რომის პაპამდინ და აი 1920 წ. სათანადო დეკრეტით (პაპის) დროებით დაგვინიშნა ჩვენ, ქართველ კათოლიკეებს ეპისკოპოსი ვიდრე ქართველ-კათოლიკეთა შორის შესაფერი პირი აღმოჩნდებოდა ტომით ქართველი და გამოგზავნა საქართველოს, რომელიც მოვიდა საქართველოში. ეს იყო ტომით იტალიელი გაბრიელ მორიონდო. ამ ეპისკოპოზის დანიშვნით კვლავ აღდგინა საქართველოს ქართველ კათოლიკეთა კათედრა, რომელიც იყო დაარსებული 1329 წ. ამ ეპისკოპოზმა მოიარა საქართველოს დაბა-ქალაქები: ბათომი, ქუთაისი, ახალციხე და სხ. რომელიც თვით თვითეულს დიდს თუ პატარას ეკითხებოდა თუ ვის სურდა დარჩენილიყო ლათინის წესზე და ვის სურდა გადასულიყო ქართულ, ალმოსავლეთის წესზე.

ჩვენ, მესხეთ ჯავახეთის ქართველ-კათოლიკეებმა ერთხმად მოვითხოვეთ, რომ ჩვენს ეკლესიებში ყოფილიყო წირვა-ლოცვა ჩვენთა გასაგებ, სამშობლო ქართულ ენაზე, ნაცვლად ლათინურ-სომხურისა.

ეპისკოპოსმა მართლა გრძნეულ და სამუდამოდ მოგვაშორა ჩვენ, ქართველ-კათოლიკეებს სომეხ კათოლიკეებს, საუკუნეობით წოდებას, მათ უღელს და მივეცით თავის განკარგულებაში და აგრეთვე აღგვითქვა, რომ ჩვენს ეკლესიებში მალე იქნება აღდგენილი ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა.

ქართველ-კათოლიკეთა პატრის ახალციხის ეკლესიის მამა ალიოზ ბათმანიშვილს წინადადება მისცა წასულიყო სტამბოლში, რათა უფრო კარგად, დეტალურად შეესწავლა ქართული წესი (აღმოსავლეთის წესი) და შემდეგ უკან დაბრუნებულიყო ახალციხეს და მოეგვარა თავის სამწყსოსათვის. პატრი ბათმანაშვილი მართლა წავიდა შარშან ამ ხანებში სტამბოლს ორი-სამი თვით შესასწავლად, მაგრამ იგი თურმე შემდეგ იქ, სტამბოლში, მონასტრის უფროსად აირჩიეს და მან ვეღარ შეიძლო მოსვლა ახალციხეში დროზე და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უპატრონოთ ვიყავით.

გასულ ორშაბათს, კვლავ მობრძანდა პატრი მამა ალიოზ ბათმანაშვილი უკვე ქართულ წესზე გადასული და ა. წ. 15 ოქტომბერს, წმინდა იო ნე ნათლისმცემლის ეკლესიაში პირველად სწირა წირვა ჩვენს სამშობლო ქართულ ენაზე. წირვას მრავალი ხალხი დაესწრო.

წირვას დაესწრნენ აგრეთვე ჩვენ ერთ მოსისხლე დიდძალი ქართველ-მართლმადიდებელნი. თუმცა მგალობელთა გუნდი მოუმზადებელი იყო, მაგრამ მაინც ამ გუნდმაც კარგად შეასრულა გალობა-ლოცვები. მორწმუნე ხალხი უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა, რომ მას ძლიეს გლირსა სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა და ღვთის ქება-დიდება.

ჩვენდა სამწუხაროდ მამა ალიოზ ბათმანაშვილი მალე მიემგზავრება ისევ სტამბოლს, სადაც ქართველ კათოლიკეთა მანიფესტის [illegible] ლი.

როგორც [illegible] -ვდეთ მას—საქართველოს [illegible] მაგიერ გამოეგზავნათ სხვა მღვდელი ქართული წესისა, რათა ჩვენს ეკლესიებში ლდეიდენდე მოესმით სომხურ-ლათინური წირვა-ლოცვები.

მე ამ წერილის დაწერამდე მრავალი წერილი მომითავსებია გაზეთებში ქართველ კათოლიკეთა ტიბიკონის აღდგენის და სომეხ-კათოლიკეთა საერთო წოდების უღლიდან განთავისუფლების შესახებ. მრავალი შეხლა-შემოხლა მომიხდა ქართველ კათოლიკეთა მღვდლების წინაშე, რომლებსაც სურდათ ისევ ლათინური ტიბიკონი, ლათინური წესი.

დიდი ხნის ნატვრა დღეს ამისრულდა, როცა ჩემი თვალით და ყურით ვისმინე ჩემს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა.

ჩვენდა სამწუხაროდ დღესაც, რადგანაც ყოყმანში არიან ტფილისის ქართველი კათოლიკენი, რომლებიც ლათინურ წესზე არიან. მათ დღესაც არ უნდათ, რომ ეკლესიაში ლათინურის მაგიერ, ამ წმ. ხომ ენის მაგიერ სამშობლო ენაზე იყოს წირვა-ლოცვა.

ტფილისის ქართველ კათოლიკენი დღესაც სრულიად უსაფუძვლოდ გაიძახიან:

„ჩვენ, რომ ლათინურად წირვა-ლოცვა არ შევასრულოთ მაშინ ჭვერომას ჩამოვშორდებით" და სხ.

ტფილისის და სხვა ქალაქების ქართველ კათოლიკებო! თუ მართლა თქვენ სულით, გულით, სისხლით, ენით, ადათით, ტომით ქართველები ხართ, თქვენ უნდა ჩვენსავით, მესხელებსავით შემოიღოთ ეკლესიებში წირვა-ლოცვა სამშობლო ქართულ ენაზე—ნაცვლად ლათინურისა.

ტანჯული მესხი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რეგისტრაციის შესახებ, ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის

## სავალდებულო დადგენილება.

### 27 ნოემბერი 1922 წ.

1. ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რაოდენობის გამორკვევის მიზნით, მოხდეს აღრიცხვა ყველა, როგორც მსუბუქი მავალის, აგრეთვე ტვირთ მზიდავ ავტომობილებისა.

2. ყველამ ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებამ, აგრეთვე სამხედრო უწყებამ, კავკასიის ცალკე არმიის ნაწილების გამოუკლებლივ და კერძო პირთ, გამოგზავნონ თავიანთი ავტომობილები აღმასრულებელ კომიტეტის ეზოში (თავისუფლების მოედანი) დანიშნულ დღეს და საათზე აღსარიცხავად და სარეგისტრაციო მოწმობისა და ნომრის მისაღებად.

3. აღრიცხვას აწარმოებს კომისია, რომელიც აღრიცხვის დროს აღნიშნავს მანქანის ძალას, ნომერს და მანქანის ფირმას.

4. ავტომობილის მეპატრონე ვალდებულია მიღებული ნომერი მიაკრას ავტომობილს როგორც უკან ისე წინ თვალსაჩინო ადგილას. სარეგისტრაციო და პირადობის მოწმობანი—კი თან უნდა ჰქონდეს შოფერს, რომელიც ვალდებულია ეჩვენოს წარმომდგენელს აღმასრულებელ კომიტეტის აგენტს უყოყმანოდ პირველ მოთხოვნილებისთანავე.

შენიშვნა: 1) დაიხლების შემდეგ მანქანის ნომერი განათებული უნდა იყოს უკანა ფარანით.

შენიშვნა: 2) რეგისტრაციის რიგი, სამხედრო მანქანებისას და იმის ნაწილებისა ადგენს ქალაქის კომენდანტი აღმასკომის წარმომადგენელთან ერთად.

5. ავტომობილები, რომელიც არ იქნებიან აღრიცხული ამისათვის დანიშნულ ვადაში და არ ექნებათ ნომერი და სააღრიცხვო მოწმობა, ჩამოერთმევათ მეპატრონეთ ხოლო მეპატრონეს არ დაუბრუნდება განსაზღვრული ჯარიმა.

6. თუ ავტომობილის მეპატრონეს დაეკარგა ნომერი და სააღრიცხვო მოწმობა, ვალდებულია ეს გარემოება აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას აძლევს ახალ ნომერს და სააღრიცხვო მოწმობის დუბლიკატს სათანადო დირექტივების გადახდის შემდეგ.

შენიშვნა: 1) ნომრისა და სააღრიცხვო ბარათის დაკარგვა უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ გაზეთში.

შენიშვნა: 2) ავტომობილების მეპატრონენი იხდიან თითოეულ ცალ ნომერზე 70/ათ. მან. და მოწმობისათვის 10/ათ. მან.

7. ტფილისის ქალაქის მილიცია და აღმასკომის სხვა შესაფერი აგენტები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაუტარებელი ავტომობილების მოძრაობა ქალაქში არ დაუშვან და ასეთები თუ აღმოჩნდება დააკავონ და გადმოგზავნონ აღმასკომის სამმართველოს განყოფილებაში.

8. თუ ავტომობილი გადავიდა ერთი პირიდან მეორე პირის მფლობელობაში, როგორც გაყიდვა ისე მემკვიდრეობა, სახელმწიფო დაწესებულებათა გამოცვლილებ, ვალდებულნი არიან შეატყობინონ ეს გარემოება წერილობით აღმასრულებელ კომიტეტს, შესაფერ წიგნებში გასატარებლად.

9. ავტომობილის აღრიცხვა დაიწყება ა/წ „11" დეკემბრიდან დილის 9 საათზე.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1, 2, 3 | სამილიციო რაიონები. | 11, 12, და 13 | „ დეკემბერს. |
| 4 5, 6, და 7 | „ | 14, 15, 16 | „ |
| 8, 9, 10, 11, და 12 | „ | 18, 19, 20 და 21 | „ |

10. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების შეუსრულებლობაში დაჯარიმდებიან 5,000,000 მან. და ჯარიმის გადახდამდე კი ჩამოერთმევათ ავტომობილი, რომელიც გადავა აღმასრულებელ კომიტეტის სარგებლობაში.

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. დუმბაძე.

ქალაქ ტფილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აბაშიძე.

სამმართველოს განყოფილების უფროსი
პრეზიდიუმის წევრი თაქთაქიშვილი.

№ 200 3—2.

ტირაჟი 1000

საქართვ. უშიშ. მხურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.